



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 ტ: (+995 32) 2 244 040 ფ: (+995 32) 2 244 041 ე: public@gogc.ge www.gogc.ge
 A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway T: (+995 32) 2 244 040 F: (+995 32) 2 244 041 M: public@gogc.ge www.gogc.ge

№ LE 180820/15-03

„ 18 „ 08 2020 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
 სოფლის მეურნეობის მინისტრს,
 ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით გეგმავს ახალ, ბუნებრივ აირზე მომუშავე კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნები.

თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაგეგმილია გარდაბნის ენერგეტიკულ ზონაში, არსებული 230 მგვ კომბინირებული ციკლის თბოსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებულ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით, 10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის მშენებლობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს. აღნიშნული 272 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (CCTPP) მშენებლობისა და ოპერირების პროექტი ხვდება I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებში.

შესაბამსად, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, უზრუნველყოფს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი №1 - სკოპინგის ანგარიში

დანართი №2 - საპროექტო ტერიტორიის shp და kmz ფაილები.

პატივისცემით,

არჩილ დევანოსიძე

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

